რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
შაბათი
5 მაისი
№ 105 (17450)
ფასი 2 კაპ.

ჩვენი პრესა — ეს არის ყოველდღიური საყოველთაოსახალხო ტრიბუნა, რომელიც მეცადინეობს ... ...

გაზეთი და სოციალისტური შეჯიბრება

ცხოვრების მხარდამჭერ

„სოციალისტური რუსთავი“ რუსთაველთა მრჩეველი და მეგობარი

სკკპ XXV ყრილობის წინა დღეებია. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში პატრიოტული თაოსნობა იშვა: „ყრილობის გახსნამდე დარჩენილი დრო დამკვრელურად გამოვაცხადოთ, მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეეხვდეთ მშობლიური კომუნისტური პარტიის უმაღლესი ორგანოს ფორუმს“. მისი ინიციატორი მოწინავე მეფოლადე, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი ოთარ ლომძე იყო. საქალაქო გაზეთი „სოციალისტური რუსთავის“ ფურცლებზე ეს წამოწყება ოპერატიულად გამოქვეყნდა რუბრიკით „მხარი დავუჭიროთ ო. ლომძის პატრიოტულ თაოსნობას“. მას გამოეხმაურნენ მეტალურგიული ქარხნის სხვა საამქროებისა და ქალაქის სამრეწველო და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების შრომითი კოლექტივები.

სკკპ XXV ყრილობის შემდგომ, როცა რუსთაველი მეტალურგები წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების არსებულ რეზერვებსა და შესაძლებლობებს ავლენდნენ, მარტენის საამქროში კვლავ ახალი პატრიოტული თაოსნობა იშვა: „არც ერთი ჩამორჩენილი და ოდისციპლინო ჩვენ გვერდით! შეგნებული დისციპლინა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება გადავიქციოთ თითოეული ჩვენგანის შინაგან მოთხოვნილებად და ცხოვრების წესად!“ მისი ინიციატორი გახდა № 3 ბრიგადის თავკაცი, მოწინავე მეფოლადე ომარ წითლიძე.

მეფოლადეთა თაოსნობას, რომელსაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი ქალაქის შრომითმა კოლექტივებმა, არა ერთი და ორი სტატია, წერილი, ნარკვევი, ჩანახატი, ინფორმაცია მიუძღვნა გაზეთმა „სოციალისტურმა რუსთავმა“. სკკპ XXV ყრილობის დელეგატმა ო. ლომძემ იმ დღეებში ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნა სტატია: „მაღალი პასუხისმგებლობა — ყველა უბანზე“, რომელიც დაიბეჭდა რუბრიკით „მეფოლადეთა თაოსნობას — ფართო მხარდაჭერა“.

რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობას რესპუბლიკის ყველა შრომითმა კოლექტივმა დაუჭირა მხარი და ახალი შინაარსი გაამდიდრა იგი. ახლა საყოველთაოდ ცნობილია ამ თაოსნობათა სიკეთე.

გაზეთმა „სოციალისტურმა რუსთავმა“ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობით, მკითხველთა, მუშა და საზოგადოებრივ კორესპონდენტთა აქტიური მონაწილეობით დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია ამ საყურადღებო თაოსნობის პროპაგანდისა და პოპულარიზაციისათვის. რედაქციის სპეციალური სამუშაო გეგმის შესაბამისად გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა მრავალი სტატია, ნარკვევი, რეპორტაჟი, ჩანახატი, ინფორმაცია, რომლებშიც განალიზებული იყო თაოსნობათა არსი და მნიშვნელობა, მისი სიკეთე.

გაზეთი სისტემატურად აქვეყნებდა და აქვეყნებს შრომითი კოლექტივების პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების სტატიებს, წერილებს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და ქმედითობის შესახებ, აგრეთვე რედაქციის კოლექტივის მიერ შემზადებულ თემატურ და გაშლილ

ჩვენ გვერდით

„ალაზნის განთიადის“ მაგალითი

უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, განსაკუთრებით კი ცენტრალური რიგი წლების 1975 წლის XVIII პლენუმმა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დასახეს რესპუბლიკაში მეცხოველეობის დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის, მოწინავე პოზიციებზე მისი გაყვანისათვის.

რა დიდ როლს ასრულებს პრესა ამ ამოცანებისა და პრობლემების გადაწყვეტაში, გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის მშრომელთა მობილიზაციაში, ჩვენი რაიონული გაზეთის „ალაზნის განთიადის“ მაგალითიდანაც შეიძლება დავრწმუნდეთ.

გაზეთი თავის ფურცლებზე სისტემატურად აქვეყნებს მეცხოველეობის განვითარებისათვის რაიონში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, აზოგადებს და ავრცელებს მოწინავეთა გამოცდილებას, აცნობს მშრომელებს ახალ-ახალ პატრიოტულ თაოსნობებსა და ინიციატივებს, რაზმავს მათ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის სანრძოლველად.

განსაკუთრებით ფართო პროპაგანდა გაუწია გაზეთმა თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ორბეთის მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობას — ცხოვრობ სოფელში — იყოლიე პირუტყვის ნორმის მაქსიმუმი! გაზეთის ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება წერილები, კორესპონდენციები, რომლებშიც მოთხრობილია ორბეთელთა მიმდევრების საქმიანობაზე, საკარმიდამო მეცხოველეობის რეზერვებზე.

რაიონში ბევრი მხარდამჭერი და მიმდევარი გამოუჩნდა მახარაძელთა თაოსნობას—საკუთარი წარმოების ხორცით მოსახლეობის საჭიროებათა დაკმაყოფილების შესახებ, აგრეთვე ადგენის რაიონის მლაშის სასოფლო საბჭოს აქტივის ინიციატივას—გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოებს შორის საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებისათვის.

თელავის რაიონული გაზეთი არა მარტო პროპაგანდას უწევს ყოველივე ახალსა და პროგრესულს, არამედ ხშირად ცდილობს თვითონ მოგვეელინოს შრომითს კოლექტივებში მოწინავე გამოცდილების, ინიციატივებისა და თაოსნობის დანერგვის ორგანიზატორად.

შეჯიბრების შედეგები ყოველთვიურად ჯამდება, გაზეთის მიერ ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ დაწესებული გარდამავალი ვიმპელი კი ბრიგადიდან ბრიგადაში გადადის. ეს დიდ მორალურ სტიმულს აძლევს მეცხოველეებს.

მიმდინარე წელს გაზეთმა დააწესა საპატიო სიგელი მოწინავე სასოფლო საბჭოსათვის. იგი კვარტალში ერთხელ გადაეცემა იმ სასოფლო საბჭოს, რომელიც საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებაში, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმებისა და ვალდებულების შესრულებაში ყველაზე უკეთეს მაჩვენებელს მოიპოვებს.

ფართოდ გავშალეთ შეჯიბრება საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებისათვის, რამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო. წლის პირველ კვარტალში მოსახლეობიდან დავალებით გათვალისწინებული 160 ცენტნერის ნაცვლად 172 ცენტნერი ხორცი მივყიდეთ სახელმწიფოს, რისთვისაც გაზეთ „ალაზნის განთიადის“ საპატიო სიგელი დავიმსახურეთ.

ახლა კიდევ უფრო მეტი მონდომებით ვიბრძვით საკარმიდამო მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის, რეზერვების ამოქმედებისა და სიუხვის სამსახურში ჩაყენებისათვის. სწორედ ამ მიზნით მდინარე ლოპოტის პირას ავაშენეთ ღორების სასუქმეველი პუნქტი 1000 სული პირუტყვისათვის. იგი განკუთვნილია მოსახლეობიდან შესყიდული პირუტყვის გასასუქებლად 90-100 კილოგრამამდე. ამ წესით გამოვზარდეთ და სახელმწიფოს უკვე მივყიდეთ 80 ცენტნერზე მეტი ღორი ხორცი.

ჩვენ კვლავაც ყველაფერს ვღონობთ, რომ კიდევ უფრო მეტი მოსახლე ჩავაბათ საკარმიდამო მეცხოველეობის ზრდისათვის გაშლილ შეჯიბრებაში, მივადწიოთ ახალ წარმატებებს მიმდინარე წელს და მთლიანად მეათე ხუთწლედში.

ლ. ფოთოლაშვილი,
ნაფარეულის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

სამათასიანთა კლუბი მოქმედებს

ჩამოყალიბდა „განახლებული აბაშის“ რედაქციასთან

უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, განსაკუთრებით კი ცენტრალური რიგი 1975 წლის XVIII პლენუმმა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დასახეს რესპუბლიკაში მეცხოველეობის დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის, მოწინავე პოზიციებზე მისი გაყვანისათვის.

ეს ამოცანები ასრულებენ ამ ამოცანებისა და პრობლემების გადაწყვეტაში, გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის მშრომელთა მობილიზაციაში, ჩვენი რაიონული გაზეთის „ალაზნის განთიადის“ მაგალითიდანაც შეიძლება დავრწმუნდეთ.

გაზეთი თავის ფურცლებზე სისტემატურად აქვეყნებს მეცხოველეობის განვითარებისათვის რაიონში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, აზოგადებს და ავრცელებს მოწინავეთა გამოცდილებას, აცნობს მშრომელებს ახალ-ახალ პატრიოტულ თაოსნობებსა და ინიციატივებს, რაზმავს მათ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის სანრძოლველად.

აბაშის რაიონის მეცხოველეთა შორის დღითი დღე იხვეჭს პოპულარობას „სამათასიანთა კლუბი“, რომელიც გაზეთ „განახლებული აბაშის“ რედაქციასთან ჩამოყალიბდა. ახლა იშვიათია მწველავი, ამ კლუბის წევრად გახდომას რომ არ ცდილობდეს. მისი წევრობის უფლების მოპოვება კი შეუძლია მხოლოდ იმ მწველავს, რომელიც თითოეულ ფურზე საშუალოდ მიიღებს 3.000 კილოგრამ რძეს.

რაიონის მწველავთა ამ კარგ თაოსნობას დასაბამი ამ ორიოდე წლის წინ დაედო, როცა „განახლებულმა აბაშამ“ პირველი მაისის ლენინის სახელობის კოლშეურნეობის მესაქონლეობის ფერმის გამგის, ოქტომბრის რევოლუციისა და ლენინის ორდენების ცავალერის ევტიხი თურქიას მუშაობის გამოცდილება გამოაქვეყნა. სამათასოვანთა კლუბის წევრიც პირველად ამ კოლმეურნეობაში იშვა. ამჟამად აქ არათუ მწველავები, მთელი ფერმა ამ კლუბის წევრი გახდა.

„განახლებულ აბაშას“ მოწინავეთა მუშაობის განზოგადების კარგი გამოცდილება აქვს. მის გვერდებზე სისტემატურად ქვეყნდება წერილები, წარმოების მოწინავეებზე, მათ შრომის საქმიანობაზე; თვეებისა და კვარტალების მიხედვით აჯამებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს.

სწორედ გაზეთის ასეთი თანამიმდევრული, გამიზნული მუშაობის შედეგია, რომ რაიონის მწველავთა შორის სულ უფრო მატულობს იმათი რიცხვი, ვინც თითოეულ ძროხაზე 3000 კილოგრამ რძეს იღებს. ასე აღმეძრა მეც „სამიათასიანთა კლუბის“ წევრად გახდომის სურვილი.

ახლა გაპირონვნებული მყავს თოთხმეტი ფური, მათ მზრუნველობას არ ვაკლებ და შედეგებსაც ცუდს როდი ვაღწევ. შარშან საშუალოდ ფურზე 3.200 კილოგრამი რძე მივიღე, წელს კი გადაწყვეტილი მაქვს ეს მაჩვენებელი 3500 კილოგრამამდე გავზარდო.

რედაქციის კლუბის განაწესის მიხედვით, დამრიგებლურ მუშაობასაც ვეწევი, სულ მალე რამდენიმე წევრს შევმატებ რაიონის სამათასიანელებს.

მ. ჩაჩავა,
აბაშის რაიონის ნოროის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი.

სამათასიანთა კლუბი მოქმედებს

ჩამოყალიბდა „განახლებული აბაშის“ რედაქციასთან

ალგეთი, ყველა შეამჩნევდა იმ სასიამოვნო ცვლილებებს, რომლებიც წელს ჩვენი გაზეთების გამოცემის საქმეში მოხდა. ეს ცვლილებები შეეხო როგორც გაზეთის პოლიგრაფიულ მხარეს, ისე მის საერთო გაფორმებასაც. პირველად ქართული პოლიგრაფიის ისტორიაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ აითვისა გაზეთების ბეჭდვის ახალი, პროგრესული ხერხი — ოფსეტური ბეჭდვა. ახლა ასე იბეჭდება ჩვენთან გამომავალი ყველა გაზეთი — 20 რესპუბლიკური და საუწყებო და 10 ცენტრალური გაზეთი, რომლებსაც მოსკოვიდან ფოტოტელეგრაფით ვიღებთ.

ოფსეტური ბეჭდვა თითქმის განესაზღვრელ შესაძლებლობებს ქმნის გაზეთის გამოცემის გამავალფერონვნებისათვის, თანაც მკვეთრად აუმჯობესებს მის გამომსახველობითს მხარეს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვისათვის საჭიროა ახალი ტექნიკისადმი აქტიური დამოკიდებულება, მისი შესწავლა, კომპეტენტური ათვისება და სრული გამოყენება.

ვინც კი ოდნავ მაინც ჩახედულია საგამომცემლო-პოლიგრაფიულ დარგში, მისთვის ნათელია, რომ, თუ უმაღლესი ხარისხის შრიფტი არ გვექნა, ჟურნალ-გაზეთების ლაზათიან გარეგნობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მაგრამ შრიფტი მარტოოდენ ესთეტიკურ-მხატვრულ მომენტს არ გულისხმობს, იგი თვალსაჩინო გავლენას ახდენს მასალების შინაარსობრივი მხარის შეთვისებაზე...

სამწუხაროდ, არც ისე გვიხნია, რომ სერიოზულ ნაკლოვანებებზე თვალი დავხუჭოთ. ჩვენი შრიფტჩამომსმელი ქარხნის პროდუქცია ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩვენი სურვილი კი ის არის, რომ ქართული შრიფტი მოკლე ხანში გაუტოლდეს თუნდაც საკავშირო სტანდარტებს.

უნდა შემუშავდეს ახალი შრიფტები, რომლებიც დააკმაყოფილებენ ადგილკითხვადობისა და საწარმოო-ტექნიკურ მოთხოვნებს. ამ მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენი გამომცემლობის შეკვეთით მხატვრობა ანტონ დუმბაძემ გაზეთისათვის შექმნა ორი ახალი სატექსტო შრიფტი „ალგეთი“ და „ახალი საგაზეთო კომუნისტი“. ამჟამად მუშაობს ჩვენულებრივი „ნუსხურის“ (ანუ ე. წ. „ვენურის“) გარდაქმნაზე. ალბათ შეამჩნევდით ახალი სასათაურო შრიფტების სიმრავლესაც. ამ მხრივ კვლავ გრძელდება მუშაობა ჩვენი ფოტოსაამწყობო და სათაურების მანქანისათვის ახალი შრიფტების შესაქმნელად.

ოფსეტური ბეჭდვა ეფექტიანია რაიონული გაზეთების საბეჭდადაც. რაიონული გაზეთი ადგილობრივი ხასიათის მასობრივი ინფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი არხია. რა შეიძლება ითქვას ამ გაზეთების მხატვრულ-პოლიგრაფიულ გაფორმებისა და ბეჭდვის ხარისხის შესახებ? კარგს ბევრს ვერაფერს ვიტყვით. ზოგი ჩვენი რაიონული გაზეთი დიდად არ განსხვავდება ამ თვალსაზრისით პირველი ქართული გაზეთისგან. ეს სავალალო ფაქტია და მისი მხოლოდ აღნიშვნა საქმეს როდი უშველის. საჭიროა გადამწყვეტი ღონისძიებანი რაიონული სტამბების უკეთ მოსაწყობად და საჭირო მასალებით მოსამარაგებლად.

უთუოდ საინტერესოა, როგორია რაიონულ პრესის განვითარების ძირითადი მიმართულებანი? ამ საკითხზე მუშაობენ პოლიგრაფიის კომპლექსურ პრობლემათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც სხვა კვლევით ინსტიტუტებთან ერთად ამუშავებენ საბჭოთა კავშირის პოლიგრაფიის განვითარების გრძელვადიან პროგნოზს 2000 წლამდე. აქ გაანალიზეს საბჭოთა რაიონული გაზეთების განვითარების დინამიკა, შეისწავლეს მათი ეკონომიკური საქმიანობა, რაიონული გაზეთების განვითარებაზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენა. ცენტრალურ გაზეთებთან შედარებით ძალზე ნელა იზრდება რაიონული გაზეთების ტირაჟები. მცირე ტირაჟი არარენტაბელურს ხდის ასეთი ტიპის გაზეთის გამოცემას. ამიტომ მთავარი ამოცანაა ტირაჟების გაზრდა, გაზეთის გამოცემაზე დანახარჯების შემცირება, ყველაზე ოპერატიული და ეფექტიანი გამოშვების წესი. ეს არის დეცენტრალიზებული ბეჭდვა ფოტოტელეგრაფის გამოყენებით. ადრე ცენტრალური გაზეთები თბილისში იბეჭდებოდა მოსკოვიდან გამოგზავნილი მატრიცების საშუალებით, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ დაბრკოლებებს ქმნიდა. ახლა არავითარი ხელისშემშლელი მიზეზი აღარ არსებობს. „გაზეთა-2“ ფოტოსატელეგრაფო დანადგარს ფირზე გადააქვს გვერდის ანაბეჭდი და შემდეგ გაზეთი ოფსეტური წესით იბეჭდება. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ ახალ მეთოდს უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობასთან ერთად, თვალსაჩინო ეკონომიკური ეფექტიც აქვს. ჩვენ აღარა ვართ დამოკიდებული ამინდის ჩირვეულობაზე და მკითხველი მუდამ დროულად იღებს თბილისში დაბეჭდილ ცენტრალურ გაზეთებს.

ოპერატიულობა მთავარია ყველა გაზეთისათვის. დროის მოკლე მონაკვეთში მის გამოსაცემად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარედაქციო-საგამომცემლო ოპერაციების — ტექსტობრივი ორგანიზაციის მომზადების, რედაქტირებისა და კორექტირების ოპერატიულად შესრულებას.

გაზეთის ოპერატიულად გამოშვებაში სარედაქციო, საგამომცემლო და საამწყობო პროცესების დაჩქარებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბეჭდი ფორმების სწრაფად მიღებას. ამ მიზნით იყენებენ კომპლექსურ-მექანიზებულ უწყვეტ ხაზებს, რომლებზედაც სრულდება როგორც ფოტო, ისე სხვა დანარჩენი პროცესები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში მუშაობს მექანიზებული ფოტოხაზი „ეკსპრესა-პაკოროლი“ (რომელზედაც 5-7 წუთის განმავლობაში შეიძლება მივიღოთ ახლად გადაღებისათვის გამოსადეგი ბრალი ნეგატივ), ოფსეტური ფორმების დასამზადებელი ავტომატური ხაზი „დრემი“ და სხვა.

ოფსეტური ბეჭდვა სპეციფიურ მთხოვნებს უყენებს ქაღალდს. სამწუხაროდ, მას ვერ აკმაყოფილებს სოლიკამსკის კომბინატის მიერ გამოშვებული ქაღალდი, რომელსაც ჩვენ ვიღებთ. ბეჭდვის ხარისხის გაუარესებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ასეთი ქაღალდის გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის ზენორმატიულ დანახარჯებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მანქანა-დანადგარების მდგომარეობას, მათ სრულყოფას და ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს. გაზეთის საბეჭდ მანქანებში ახლა სულ უფრო ხშირად იყენებენ ელექტრონულ-გამომთვლელ ბლოკებს მისი სხვადასხვა ფუნქციების რეგულირებისათვის. სოროტაციო-საგაზეთო მანქანები დიდად დაიხვეწა. ახლანდელ საუკეთესო მანქანას შეუძლია საათში 100.000 ეგზემპლარი 4-გვერდიანი გაზეთის დაბეჭდვა. ასეთი მანქანები ჩვენთანაც არის დამონტაჟებული.

ტექნიკურ-ტექნოლოგიური საახლეებს ასათვისებლად და წარმოებაში დასანერგად კომპეტენტური ადამიანები, მაღალკვალიფიციური ინჟინრები, მუშა სპეციალისტებია საჭირო. ამ მხრივ კი სავალალო მდგომარეობაა. ჩვენს რესპუბლიკაში 1965 წლიდან პოლიგრაფიის სპეციალობის ინჟინრებს აღარ ამზადებენ (მანამდე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არსებობდა სპეციალური კათედრა), ძალიან ცოტანი სწავლობენ დაუსწრებლად მოსკოვისა და ლვოვის პოლიგრაფიულ ინსტიტუტებში. არ არის კვლევითი ლაბორატორია, რომელიც ხელს შეუწყობდა ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის, ამ დარგში მეცნიერების მიღწევათა დანერგვას.

ზემოთ მოყვანილი საკითხების მაღალ დონეზე და დროული გადაწყვეტა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ჩვენი გაზეთების გამოცემის მდგომარეობას, მათ პოლიგრაფიულ დონეს. ამას მოითხოვს არა მარტო კეთილი, არამედ ჩვენი დღევანდელობა.

გ. გორდულაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ოფსეტური ბეჭდვა: განუსაზღვრელ შესაძლებლობათა სიახლე

სურათზე: მეჩაიეები ნელი თიკარაძე, ნანა კვა ჭანტირაძე და დალი ყავლაშვილი კითხულობენ კოლმეურნეობის მრავალტირაჟიან გაზეთს.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

უპასუხისმგებლობისათვის მკაცრად დაისაჯნენ

მკაცრი სასჯელი დაედოთ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებსაც ბრალად ედებათ მტკვრისა და მისი შენაკადების გაჭუჭყიანება. მათი პასუხისმგებლობის საკითხი განიხილა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მორიგმა სხდომამ, რომელიც მიეძღვნა გარემოს, კერძოდ, კასპის ზღვის აუზის დაცვის პრობლემას.

შემოწმებამ, რომელიც მოეწყო რესპუბლიკის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, ცხადყო, რომ აღმოსავლეთ საქართველოში წყალსაცავი ნაგებობების მშენებლობა ნელა და უხარისხოდ მიმდინარეობს.

თექვსმეტი საწმენდი ნაგებობიდან, რომელთა მშენებლობა გასული და მიმდინარე წლებისათვის იყო დაგეგმილი, მუშაობა წარმოებს მხოლოდ ოთხ ობიექტზე. მათი აგება არ დაუწყიათ ადიგენში, ბოგდანოვკაში, სურამში, დუშეთში, მარნეულში, სიღნაღში, წნორში, ფოთელწყაროში, რუსთავში. მშენებლობა შეჩერებულია ბორჯომსა და აბასთუმანში.

კუს ნაბიჯით მიმდინარეობს თბილის-რუსთავის ეაერთიანებული საწმენდი კომპლექსის მშენებლობა. ამისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება, უმთავრესად, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს „სპეცმშენის“ ტრესტს. (მმართველი გ. გოგელია).

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა რუსთავში. ქალაქის ფარგლებს გარეთ მტკვარში მავნე მინარევების შემადგენლობა სულ უფრო იზრდება. რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მეხუთე სამშენებლო სამმართველოს (უფროსი — გ. მთიულიშვილი) ჯერაც არ აღმოუფხვრია დეფექტები მეტალურგიული ქარხნის საგლინავი და მილსაგლინავი საამქროების საბრუნი წყალმომარაგების სისტემის საწმენდ ნაგებობებში. სახელმწიფო კომისიამ (თავმჯდომარე — ქარხნის მთავარი ინჟინერი მ. მინდელი) სერიოზული შეცდომა დაუშვა, როცა ეს ობიექტები საექსპლოატაციოდ მიიღო. მტკვარს აჭუჭყიანებენ აგრეთვე რუსთავის ქიმიური ქარხანა და ქიმიური ბოჭკოს ქარხანა.

დიდი ეფექტები აღმოჩნდა ხაშურისა და ბაკურიანის საწმენდ ნაგებობებშიც. მაგრამ ხარვეზების აღმოფხვრას როი ჩქარობს მშენებლობისათვის პასუხისმგებელი რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტი (მმართველი მ. გერგაული).

მიმდინარე წლის 1 მარტისათვის საწმენდი ნაგებობები მოქმედებდა აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ რვა ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში, მაგრამ მათი სიმძლავრე საკმარისი არ არის. მაგალითად, გორში საწმენდი ნაგებობების სიმძლავრე შეადგენს საჭირო დონის მხოლოდ 30 პროცენტს, ქარელსა და კასპში კი უფრო ნაკლებს.

ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის ზოგიერთ საწარმოებშიც, მაგალითად, ტყავის გაერთიანების ჩამდინარი წყლები იწმენდება მხოლოდ 38 პროცენტით, თევზის ქარხნისა — 30 პროცენტით, № 2 ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანებისა — 12 პროცენტით!

ამის შედეგად მტკვარსა და მის შენაკადებში ყოველწლიურად ჩადის დაახლოებით რამდენიმე მილიონი კუბური მეტრი ჩამდინარი წყლები, რომლებიც შეიცავენ ნავთობპროდუქტებს და სხვა მავნე ნივთიერებებს.

საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტი მიღებულ დადგენილებაში სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებისგან მოითხოვს გადაუდებელი ღონისძიებები განახორციელონ საწმენდი ნაგებობების მშენებლობასა და ექსპლოატაციაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარ ინჟინერს მ. მინდელს მიეცა მკაცრი გაფრთხილება, საწარმოს დირექტორს მოადგილეს ვ. ბარაბაძეს გამოეცხადა საყვედური, ხოლო № 1 ტრესტის მეხუთე სამშენებლო სამმართველოს უფროსს გ. მთიულიშვილს — სახტიკი საყვედური.

სასჯელი დაედოთ რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის დირექტორს ი. გრძელიძესა და რუსთავის ქიმიური ქარხნის მთავარ ინჟინერს ზ. კერავალიშვილს.

№ 9 ტრესტის მმართველს ს. გერგაულს გამოეცხადა საყვედური. მშენებლები ვალდებული არიან უახლოეს ხანში აღმოფხვრან ხარვეზები საწმენდ ნაგებობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ტრესტის ხელმძღვანელების მიმართ უფრო მკაცრი ზომები იქნება მიღებული.

სახალხო კონტროლის კომიტეტმა აღნიშნა, რომ „სპეცმშენის“ ტრესტის მმართველი გ. გოგელია სასჯელს იმსახურებს, მაგრამ 1979 წლის პირველ კვარტალში ხაშურთა ვითარება ტრესტში რამდენადმე გაუმჯობესდა, ამიტომ კომიტეტმა მას მხოლოდ მკაცრი გაფრთხილება მისცა.

(საქინფორმი).

ზაზადება მეგობრებისათვის

ტექნიკური პროგრესი დროის მოთხოვნაა

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნებისათვის ამზადებს ელექტროშტაბელერებს თბილისის ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის კოლექტივი. ელექტროშტაბელერები განკუთვნილია 500 კილოგრამამდე ტვირთების გადასაზიდად, გამოიყენება სასაწყობო მეურნეობაში და ნავსადგურებში, მათზე დიდი მოთხოვნაა. სატვირთო ოპერაციების წარმოების პროცესში 180 გრადუსით მბრუნავი ამწე ელექტროშტაბელერს თავისუფლად მანევრირების საშუალებას აძლევს.

ქარხნის ამ პროდუქციის ექსპონატებს დიდი წარმატება ხვდათ წილად ლაიფციგის, ბრნოს და მაინის ფრანკფურტის საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე. მომავალში ელექტროშტაბელერების ნიმუშები საზოგადოებრიობის სამსჯავროზე ახალ „ამპლუაში“ წარსდგებიან: მათზე საპატიო ხუთკუთხედიანი ფირფიტებია მიმაგრებული.

ბევრი ტექნიკური სიძნელის დაძლევა მოუხდათ საწარმოს მუშა-მოსამსახურეებს, სანამ ასეთი წარმატებას მიაღწევდნენ. დიდი ხნის განმავლობაში ვერ იქნა და ვერ გადაიჭრა ელექტროშტაბელერების დეტალების და კვანძების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა, ძალზედ დაბალი იყო თავდაპირველად შრომის ნაყოფიერებაც. საქმემ წინ წაიწია, როცა აქ ელექტროშტაბელერების წარმოების ერთიანი ტექნოლოგიური ციკლი დაინერგა და კომპლექსური იჯარით მომუშავე ბრიგადები ჩამოყალიბდა. ერთ-ერთ ასეთ ბრიგადას, რომელსაც სათავეში ა. გელაშვილი ჰაუდგა, დაევალა გაემარტივებინა ელექტროშტაბელერების ძირითადი ნაწილების დამზადება. ქარხნის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორიის დახმარებით ბრიგადის კოლექტივმა შედარებით მოკლე დროში საქმეში გარდატეხა შეიტანა. ახლა ეს ბრიგადა ისეთი მოცულობის სამუშაოს ასრულებს, როგორსაც ადრე მთელი საამქროს კოლექტივი ეროდა.

ბრიგადა დღეს უბნის უფროსის, უფროსი და ცვლის ოსტატების მეთვალყურეობის გარეშე მუშაობს და მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

ახლა საქართველოს ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოთა აბსოლუტური უმეტესობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების დაკვეთებს ასრულებს. ელექტროტექნიკის თითქმის ყველა სახეობის საექსპორტო პროდუქცია სახელმწიფო ხარისხის ნიშნით არის აღნიშნული

ელექტროტექნიკური მრეწველობა, რომელიც რესპუბლიკაში სულ ოცოდე წლის წინათ შეიქმნა, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნებისათვის ათობით დასახელების ნაწარმს აწვდის. მომხმარებელს მოსწონს, მაგალითად, აქ დამზადებული საერთო-სამრეწველო დანიშნულების მიკროძრავები, ავტომატური გამომრთველები, სამრეწველო ელმავლები, ტრანსფორმატორები, ელექტროკარები, ელექტროსატვირთველები, მაგნიტური სადგურები, კაბელები და მრავალი სხვა რამ.

ელექტროტექნიკური მრეწველობა, რომლის განვითარებას რესპუბლიკაში უპირატესობა ეძლევა, მომავალ წლებში მკვეთრად გაზრდის საექსპორტო პროდუქციის გამოშვებას. ამ დარგის საწარმოთა მოდერნიზაციისათვის გამოყოფილია საქართველოს მრეწველობისათვის განკუთვნილი კაპიტალდაბანდებათა მეოთხედი. ამჟამად, მაგალითად, რეკონსტრუქციის პროცესშია რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობის უმსხვილესი საწარმო — თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხანა. მისი განახლება ხუთწლედის ბოლოსათვის უნდა დამთავრდეს. მომავალ საუუკუნეთა მასშტაბი რომ უკეთ წარმოვიდგინოთ, საკმარისია ითქვას, რომ საექსპლოატაციოდ გადაეცემა 70 ათასი კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი. ქარხნის ტერიტორიაზე ერთდროულად მწყობრში ჩადგება თანამედროვე კორპუსები ელექტროშტაბელერების წარმოებისათვის, დამხმარე უბნებისათვის, საცდელი სადგურის, ენერგეტიკული დანიშნულების ობიექტებისა და ლაბორატორიებისათვის.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება ფოლადის სხმულისა და ლოგოტივის საეკიპაჟო ნაწილის დასამზადებელი საამქროები, ელმავალმშენებელთა სამეურნეო საქმიანობის „ტვინის“ ცენტრად იქცევა მართვის ავტომატიზებული სისტემა. წარმოების მოცულობა ერთთორად გაიზრდება.

ფართოვდება და ახალი დიდმწარმოებლური ტექნიკით იღებავრვება სამრეწველო გაერთიანებები „ელექტროაპარატი“, „საქელექტრომანქანა,“ ბათუმის, ქუთაისის, ფოთის ელექტროტექნიკური და ელექტროაპარატურის ქარხნები, თბილისისა და ახალციხის ელექტროძრავების გამომშვები საწარმოები, ზესტაფონის ელექტროელემენტების ქარხანა და სხვები.

გენერალური პერსპექტიული გეგმის მიხედვით რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობა ექვსკერ გაზრდის პროდუქციის გამოშვებას, რაც ფულადი გამოხატულებით ბევრად გადააჭარბებს მილიარდ მანეთს.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ კორ.

„საბჭოთა პედაგოგი“ სტუმრად „კომუნისტის“ ფურცლებზე

ინსტიტუტის მრავალტირაჟიანი -მომავალი კადრების აღმზრდელი

5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის დღეა

გაზეთიც ზრდის

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის ზაფხულში გაიმართება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც განიხილავს პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამოცანებს კადრებთან მუშაობის შემდგომი სრულყოფის, მასებთან პარტიული კომიტეტების კავშირის განტკიცების, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივების შესაბამისად მუშებითა და სპეციალისტებით უზრუნველყოფის საქმეში. დიდია რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების როლი სპეციალისტების მომზადების საქმეში. ერთ-ერთი ასეთი უმაღლესი სასწავლებელია თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც ჩვენს სკოლებს მასწავლებელთა კადრებს უმზადებს.

საბჭოთა პრესის დღევანდელ დღესასწაულზე გვინდა ერთხელ თვალი გადავავლოთ ინსტიტუტის გაზეთს „საბჭოთა პედაგოგს“ (რედაქტორი ლეონ ჭეიშვილი). როგორ აისახება მის ფურცლებზე ინსტიტუტის დაუცხრომელი შრომა მასწავლებელთა კადრების მომზადებისათვის?

ყოველ ხუთშაბათს ინსტიტუტის დერეფნებსა და აუდიტორიებში გამოჩნდება ხოლმე გაზეთის ახალი ნომერი, ინტერესით ეწაფებიან მის ყოველ ახალ ნომერს სტუდენტებიც და პროფესორ-მასწავლებლებიც; მას მოაქვს ახალი ამბები, აცნობს ფართო აუდიტორიას არა მარტო სტუდენტთა წარმატებებსა და წარუმატებლობას, მათს მიზეზებს, ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებს; გაზეთის ფურცლებზე სტუდენტები — ხვალინდელი პედაგოგები გულწრფელად ესაუბრებიან მეგობრებს, უამბობენ საკუთარ თავზე, მსჯელობენ კოლექტივის ავკარგზე. ყველა ნომერში შეხვდებით სწავლების მომავალ მასწავლებელთა კადრების მომზადების ამსახველ მასალებს. მრავალტირაჟიანი გაზეთი „საბჭოთა პედაგოგი“ დღეს გაზეთ „კომუნისტის“ სტუმარია.

პირველად რესპუბლიკაში

დღითი დღე იზრდება ჩვენი ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა. ამჟამად ორგანიზაციაა 506 კომუნისტს აერთიანებს, მათ შორის 294 სტუდენტია. ახალგაზრდების ასეთმა სოლიდურმა წარმომადგენლობამ განაპირობა ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის გადაწყვეტილება ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლის გახსნის თაობაზე. სკოლა ორწლიანია და სკკპ ისტორიის კათედრის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით იმუშავებს. ეს ხელს შეუწყობს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებას, პარტიის საწესდებო და საპროგრამო საკითხების ღრმად შესწავლას.

პარტიულმა კომიტეტმა ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლის დირექტორად დაამტკიცა სკკპ ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი მ. ჯიჯეშვილი. კომუნისტი სტუდენტები და კომკავშირის საფაკულტეტო ბიუროების მდივნები გაერთიანდნენ სემინარებში. ყოველივე ეს მიმართულია მაღალკვალიფიციური მასწავლებელთა კადრების აღზრდისა და დახელოვნებისაკენ, უკეთეს სპეციალისტთა მომზადებისაკენ.

ლ. ჩარკვიანი,
რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ

ჩვენი ინსტიტუტი ერთადერთია საბჭოთა კავშირში, სადაც ოთხ ენაზე — ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ასწავლიან.

ჩვენი სწავლა და შრომა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ინტერნაციონალური მეგობრობის საუკეთესო მაგალითია. ყოველი ჩვენგანი ცდილობს დაეუფლოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხთა ენებს. ამისათვის კი შესანიშნავი პირობები გვაქვს შექმნილი ინსტიტუტში. დავიწყოთ იმით, რომ აქ, აზერბაიჯანელები აზერბაიჯანულ და სომხები სომხურ ენებთან ერთად ვეუფლებით ქართულ და რუსულ ენებს, ვსწავლობთ შშობლიურ, ქართულ და რუსულ ლიტერატურას, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი ვიღებთ საშუალო სკოლის მასწავლებლის კვალიფიკაციას, უფლება გვაქვს ჩვენს ოსსაზრდოებს შშობლიურ ენასთან ერთად ვასწავლოთ ქართული და რუსული ენები.

ჩვენ ინსტიტუტის სხვა სტუდენტებთან ერთად აქტიურად ვმონაწილეობთ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში, ვამუშავებთ სამეცნიერო თემებს მოძმე რესპუბლიკების ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობის შესახებ. დიდი წარმატება ხვდა წილად ჩვენი ამხანაგების მიერ დამუშავებულ თემებს.

ინსტიტუტის სტუდენტები ერთად ვზეიმობთ რუსი, ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების ღირსსახსოვარ თარიღებს, ერთად ვმართავთ სპორტულ შეჯიბრებსა და დასვენების საღამოებს.

ასე, ყოველდღიურ სწავლასა და შრომაში, აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში ერთიან, ძმურ ოჯახში მტკიცდება ჩვენი მეგობრობა. მომავალი მასწავლებელი, აღმზრდელი ხომ ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი უნდა იყოს.

ს. პაპოიანი,
სომხური სექტორის II კურსის სტუდენტი;
დ. ტაგიევა,
ე. ეფენდიევი,
აზერბაიჯანული სექტორის III კურსის სტუდენტები.

ყველაფერი სკოლისათვის

უაღრესად დიდი პრობლემა მხოლოდ მისაღებ გამოცდებზე წყდებოდეს. შეუძლებელია საგნობრივი გამოცდის დროს, ისიც არსებული კონკურსის დებულების მიხედვით დაადგინოთ პროფესიათა მიხედვით ერთ-ერთ ადგილზე. ეს ეფექტიანობა ... ...



ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

●●

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ Კ. ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 70-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ქართველ მეცნიერ ქიმიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს, 1940 წლიდან სკკპ წევრს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სილიკატების ტექნოლოგიის კათედრის გამგეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ კალისტრატე სვეტრიანეს ძე ქუთათელაძეს 70 წელი შეუსრულდა.

ფრიად მრავალმხრივია პროფესორ კ. ქუთათელაძის მეცნიერული კვლევის ინტერესები და დიდმნიშვნელოვანია მის მიერ მიღებული თეორიული და პრაქტიკული შედეგები. იგი 270-ზე მეტი შრომის, 100-ზე მეტი გამოგონებისა და პატენტის, რამდენიმე მონოგრაფიის ავტორია, რომლებიც გამოქვეყნდა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. პროფესორი კ. ქუთათელაძე მრავალი საკავშირო თუ საერთაშორისო კონფერენციისა და კონგრესის ორგანიზატორი და აქტიური მონაწილეა, მისი მოხსენებები მოისმინეს საფრანგეთში, იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებში, რომლებსაც სპეციალისტები დიდი ინტერესით შეხვდნენ.

პროფესორი კ. ქუთათელაძე იკვლევს ცემენტის, მინის, კერამიკის, ცეცხლგამძლე მასალების და სხვა სილიკატური ნაწარმის ნედლეულად სხვადასხვა ქანისა და წარმოების ნარჩენების გამოყენების შესაძლებლობას. იგი მუშაობს ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებაზე. აღსანიშნავია, რომ კ. ქუთათელაძე შესანიშნავად იყენებს ძირითადი ნედლეულია კაოლინი და მინდვრის შპატი, რომელთა მარაგი ბუნებაში ძალზე შეზღუდულია. სამაგიეროდ, ამერკკავკასია მდიდარია კაოლინის ანალოგიური ქანგეულების შემცველი მინერალებით — პერლიტით. პერლიტის გამოყენების პრიორიტეტი კერამიკულ მასებში ქართველ კერამიკოსებს ეკუთვნით. ფაიფურ-ქაშანურის მასებში მინდვრის შპატებისა და კაოლინის მაგივრად პერლიტისა და ტექნიკური თიხირის შეყვანის შედეგად მიღებულ იქნა მაღალი მექანიკური და თერმული თვისებების მქონე კერამიკული ნაწარმი. ასევე ეფექტიანი იყო ელექტროსაიზოლაციო მასებში ტრაქიტის შეტანა, რამაც ბევრად გააუმჯობესა ელექტროიზოლატორების თვისებები.

თავის პირველ შრომებში პროფესორმა კ. ქუთათელაძემ შეისწავლა სხვადასხვა სალესავის გავლენა მინის შეფერვასა და სხვა თვისებებზე. ერთ-ერთ ასეთ მოდიფიკატორად მან გამოიყენა მანგანუმი, რამაც შესაძლებელი გახადა მინის შეფერვის ბუნების დადგენა. და მისი ოპტიკური თვისებების პროგნოზირების საშუალება მოგვცა. შემდგომში მან თანამშრომლებთან ერთად მიიღო სრულიად ახალი კლასის მრავალმანგანუმიანი მინა, რის საფუძველზე მომზადდა მინის ნაწარმი და მინანქარი.

ახალი ტექნიკის განვითარება განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს სამენ მასალებს, საჭირო ხდება სპეციალური თვისებების მქონე გამძლე, მსუბუქი, ეკონომიური მჭიდა მასალების შემუშავება. „აქაც თავისი სიტყვა თქვა პროფესორმა კ. ქუთათელაძემ. მის მიერ შემუშავებული ახალი ცემენტები ფართოდ გამოიყენება ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობისათვის, ენერგეტიკულ დანადგარებში რადიაქტიური გამოსხივებისაგან დასაცავად.

მიღებული იყო ალუნტიანი სწრაფმაგრებად გაფართოებადი ცემენტები, რომელიც გამოსაცდეს თბილისის მეტროპოლიტენში წყლის გაჟონვის საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ასაწყობი კონსტრუქციების პირაპირების შესავსებად. ამ ცემენტების მაღალი ტექნიკური თვისებები შესაძლებელს ხდის მათს გამოყენებას რკინა-ბეტონის კონსტრუქციებში.

საქართველოში ბროლის წარმოების დანერგვას წინ უძღოდა კ. ქუთათელაძის მიერ გაწეული მეცნიერული კვლევა. ასევე ფერად და შავ მეტალურგიაში დიდი მოთხოვნაა პროფესორ კ. ქუთათელაძის მიერ მიღებულ ნიტრიდშემცველ ცეცხლგამძლე მასალებზე.

პროფესორ კ. ქუთათელაძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს საქართველოში საშენ მასალათა სამეცნიერო ინსტიტუტის შექმნა, რომელსაც იგი 16 წელიწადს ხელმძღვანელობდა.

ამჟამად კ. ქუთათელაძე ხელმძღვანელობს სილიკატების ტექნოლოგიის კათედრასთან არსებულ მხატვრული მინისა და კერამიკის დარგობრივ ლაბორატორიას. მისი ხელმძღვანელობით ადგილობრივი ნედლეულიდან დამზადდა მხატვრული კერამიკული ნაწარმი, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა სხვადასხვა გამოფენაზე როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ. კ. ქუთათელაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდა კადრების მომზადებაში. კათედრამ, რომელსაც იგი განაგებს, მომზადა 1500-ზე მეტი ინჟინერ-ტექნოლოგი, 70-მდე მეცნიერებათა კანდიდატი სილიკატების ტექნოლოგიის სპეციალობით. იგი მეცნიერულ და პედაგოგიურ საქმიანობას კარგად უთავსებს საზოგადოებრივ მუშაობასაც. კ. ქუთათელაძე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოების წევრი.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს კ. ქუთათელაძის მიერ გაწეული ღვაწლი — იგი დაჯილდოებულია სამი სამამადლო ნიშნის ორდენითა და მედლებით. მნიშვნელოვანია პროფესორ კ. ქუთათელაძის დამსახურება ჩვენი რესპუბლიკის წინაშე. ვუსურვებთ ამჟამდარ იუბილარს ჯანმრთელობას და შემდგომ შემოქმედებითს წარმატებებს.

ნ. ᲚᲐᲜᲓᲘᲐ,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

Ო. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ-ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘ,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

Ო. ᲥᲣᲠᲓᲔᲕᲐᲜᲘᲫᲔ,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სილიკატების ტექნოლოგიის კათედრის დოცენტი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, გამომცემლობა „ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ.

გაზეთ „კომუნისტის“ 1979 წლის 18 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა წერილი იმის თაობაზე, რომ გამომცემლობა „ხელოვნების“ წიგნი „ფილმოგრაფია“, რომელიც წიგნის ფაბრიკაში დამზადდა, პოლიგრაფიული შესრულებით მდარე ხარისხისაა.

აღნიშნული წიგნი საქართველოს სსრ გამსახლომმა 1979 წლის 13 თებერვალს განიხილა სპეციალურ თათბირზე, სადაც გასინჯეს საკონტროლო ეგზემპლარები და აღინიშნა წიგნის ცუდი პოლიგრაფიული შესრულება; დარღვეული იყო ნაბეჭდ გამოცემათა დამზადების ტექნოლოგია, გამომცემლობა „ხელოვნებამ“ კლიშეები პრიალა ხარისხის ქაღალდისათვის დაამზადა, ბოლოს კი წიგნი ოფსეტურ ქაღალდზე დაიბეჭდა, რის გამოც ილუსტრაციების უმრავლესობა ბუნდოვანია.

საქართველოს სსრ გამსახლომის 1979 წლის 22 თებერვლის ბრძანებით ფერადი ბეჭდვის სტამბის დირექტორს ტ. სიდამონიძეს, წიგნის ფაბრიკის მთავარ ინჟინერს გ. გიგინეიშვილს, დირექტორის მოადგილეს საწარმოო ნაწილში გ. დონაძეს და წიგნის ფაბრიკის საწარმოო განყოფილების უფროსს უ. ხმელიოფსკაიას გამოეცხადათ საყვედური; გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი ო. ეგაძე და წიგნის ფაბრიკის დირექტორი თ. თოფურიძე გაფრთხილებული არიან. სათანადო ღონისძიებანი განხორციელდა წიგნის უშუალო შემსრულებლებისადმი.

რ. ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ,
გამსახლომის თავმჯდომარ ი ს მოადგილე.

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ გაზეთის ა. წ. 18 თებერვლის ნომერში სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული წიგნი-ალბომი „ფილმოგრაფია“, რომლის ფოტოკლიშეები დიდი წუნით დაამზადა ფერადი ბეჭდვის სტამბამ, ხოლო ასევე დიდი წუნით დაბეჭდა ალბომი წიგნის ფაბრიკამ.

გამომცემლობა „ხელოვნების“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებამ სპეციალურად იმსჯელა მომხდარ ფაქტზე და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი შემდგომში წუნიანობის აღსაკვეთად. დირექციამ გაითვალისწინა, რომ აღნიშნული ალბომის წუნდებული კლიშეების უკონტროლოდ მიღებაში უშუალო დამნაშავენი — თეატრისა და კინოს რედაქციის გამგე ე. ცაგურია, ალბომის მაკეტის ავტორი და მხატვრული რედაქტორი, გამომცემლობის მთავარი მხატვარი ო. ჯიშკარიანი აღარ მუშაობენ გამომცემლობაში, საყვედური გამოუცხადა დანარჩენ დამნაშავეთ: მთავარი რედაქტორის მოადგილეს, თეატრისა და კინოს რედაქციის კურატორ გ. ბარამიძეს, გამომცემლობის უფროს რედაქტორს ხ. ხეტეშვილს. აგრეთვე გააფრთხილა ტექნიკური რედაქტორი რ. კოხრეიძე და გამომშვები გ. იოსელიანი.

ამასთან ერთად გამომცემლობამ ფერადი ბეჭდვის სტამბას უკან დაუბრუნა მის მიერ ასევე წუნით დამზადებული კლიშეები ფილმი-ალბომისათვის „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“.

Ო. ᲔᲒᲐᲫᲔ,
გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ

ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ ᲓᲘᲓᲘᲪ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲪᲘ...
Შ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲓᲠᲝ ● ᲐᲛᲒᲔᲑᲘ ● ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ

ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲒᲘᲜᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ Გ. ᲗᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ

ᲞᲐᲠᲙᲘ ᲓᲐᲛᲡᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲣᲡᲛᲝᲑᲡ

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ პარკი, რომელიც 20 ჰექტარზეა გადაჭიმული, თავისი განუმეორებელი რელიეფითა და ლანდშაფტით მთელ ჩვენს ქვეყანაშია ცნობილი. მის ტერიტორიაზე ათობით უნიკალური ჯიშის ხე ხარობს, აქედან მარტო ფიჭვის 30-მდე ნაირსახეობაა.

ბორჯომ-პარკი საკურორტო სეზონს მომზადებული ხვდება. წლევანდელი წელი ხომ ბავშვის საერთაშორისო წელია და პარკის მესვეურნი განსაკუთრებით გარჯილან იმისათვის, რომ ნორჩ დამსვენებლებს გართობის ჩინებული პირობები ჰქონდეთ.

ამჟამად მთლიანად დამთავრდა პარკის რეკონსტრუქცია. მდინარე ბორჯომულს სანაპირო დაამშვენა გრანიტით მოპირკეთებულმა მოაჯირმა. ფიჭვების ტევრში, ღია ცის ქვეშ გაიხსნა ექსპოზიცია, რომელშიც თავი მოიყარა ხეობაში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილმა ნივთებმა. მოეწყო მცირე არქიტექტურული ნაგებობები.

ბავშვებს უთუოდ გაახარებს მრავალფეროვანი ატრაქციონი და სხვადასხვაგვარი გასართობები — ავტოდრომი, კარუსელები და საბავშვო სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნები, კიდული ხიდი ბორჯომულაზე და დეკორატიული აუზი.

ბორჯომ-პარკის მწვანე სამოსელი კიდევ უფრო ზმირი და თვალსაჩინო გახდა. ადრე გაზაფხულზე აქ ასობით ძირი მარადმწვანე ხე და ბუჩქი დარგეს.

ᲕᲐᲒᲝᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐᲡ ᲒᲐᲓᲘᲡ

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ-ბაკურიანის ვიწროლანდაგიანი რკინიგზა, რომელიც 1902 წელს არის გაყვანილი, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი სარკინიგზო უბანია. მას მარტოოდენ ტურისტები და დამსვენებლები კი არ გადაჰყავს, სახალხო მეურნეობასაც ემსახურება. კერძოდ, ბაკურიანის ანდეზიტის წარმოების პროდუქცია — სახელგანთქმული ანდეზიტის ფქვილი სწორედ ამ რკინიგზით მოდის ბორჯომში. სატვირთო ვაგონები კი, რომლებიც 30-40 წლის წინათ არის გამოშვებული, უკვე მოძველდა და დღის წესრიგში ახალი, დახურული სატვირთო ვაგონების შექმნის საკითხიც დადგა.

და აი, ვაგონმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ალტაის სავაგონო ქარხნისა და დემიხოვსკის მანქანათსაშენებელი ქარხნის სპეციალისტებთან ერთად შექმნეს ვიწროლიანდაგიანი სატვირთო ვაგონის მოდელი, რომელმაც წარმატებით გაიარა გამოცდა ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზაზე. საუწყებათშორისო კომისიამ მიიწონა ახალი სარკინიგზო სატვირთო ვაგონის საექსპლოატაციო თვისებები და დემიხოვსკის მანქანათსაშენებელ ქარხანას რეკომენდაცია მისცა ასეთი ტიპის სატვირთო დახურული ვაგონების სერიული წარმოებისათვის.

მიმდინარე წელსვე რკინიგზის ბორჯომის სატვირთო სადგური ხუთი ახალი ნიმუშის სატვირთო ვაგონს მიიღებს, გაისად სატვირთო-სავაგონო პარკი 25-მდე გაიზრდება.

ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ, ᲛᲨᲕᲔᲜᲓᲔᲑᲐ

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ხეობა — ჯანმრთელობის საკავშირო კერა — ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ათასობით დამსვენებელს მასპინძლობს. განუხრელად იზრდება სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების რაოდენობა.

ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა სანატორიუმ „ლეკანის“ ახალი საძინებელი კორპუსი, რომელიც 500 დამსვენებლისთვის არის განკუთვნილი. აშენდა კლუბი 1100-ადგილიანი ორი კინოდარბაზით, ბალნეოლოგიური სამკურნალო, რომელიც ერთდროულად 40 ავადმყოფს მოემსახურება.

ბორჯომის ნამდვილი მშვენება გახდება ახალი სანატორიუმი „მთის ხეობა“. ეს 14-სართულიანი ნაგებობა მალე შემოიცლის ხარահრებს. სანატორიუმი ერთდროულად 500 დამსვენებელს მიიღებს.

სანატორიუმის სამედიცინო კაბინეტებში დამონტაჟდება უახლესი სამკურნალო აპარატურა, დამსვენებელთა განკარგულებაში იქნება კინო და საკონცერტო დარბაზები, გამაჯანსაღებელი მოედანი; ორიგინალურად გაფორმებული სასადილო დარბაზი ერთდროულად ყველა დამსვენებელს მოემსახურება.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲗ: ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲒᲘᲠᲝ ᲒᲖᲐ.

(ᲡᲐᲥᲘᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ წყაროებზე ყოველწლიურად ათიათასობით ადამიანი მკურნალობს, „ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ“ მინერალური წყალი კი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში და საზღვარგარეთ იგზავნება.

გეოლოგები კვლავ ეძებენ ახალ სამკურნალო წყაროებს და ახლახან აღმოაჩინეს კიდეც. მისი ქიმიური შედგენილობა საფრანგეთის ერთ-ერთი ცნობილი სამკურნალო წყლის იდენტური აღმოჩნდა. ბორჯომის შემოგარენში მიაკვლიეს აგრეთვე „ეხენუკუკის“ ტიპის რამდენიმე წყაროს.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, პ/ᲒᲓᲘᲕᲜᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡᲘ — 99-66-10, ᲑᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢᲣᲚ-ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 93-22-93, ᲛᲠᲔᲕᲖᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡ — 93-20-34, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲗᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲚᲝᲑᲘᲡ — 93-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡ�წᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲥᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ — 93-95-98, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 93-28-54, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ — 93-95-24.

ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ:

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — 431-08-52; ᲡᲝᲩᲣᲛᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ — 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲒᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ — 2-03-15; ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ — 28-40; ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ — 2-23-44; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ — 27-58; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 12-09; ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲪᲘᲜᲝᲜᲘ — 25-82.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲧᲝᲤᲝ ᲡᲐᲒᲐᲜᲗᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ „ᲔᲕᲠᲝᲞᲐ — ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ“

5 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲚᲘᲝᲜᲨᲘ საფრანგეთ-აშშ-ს კალათბურთელთა მატჩით იწყება საკონტინენტთაშორისო თასის ახალი გათამაშება. ევროპა და ამერიკა წარმოდგენილი იქნებიან 4-4 გუნდით. მათ შორის იქნება სსრ კავშირის ნაკრები, რომელმაც ორ უკანასკნელ (1975 და 1977 წლებში) შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა. რეგლამენტის თანახმად შეჯიბრება ორ წრედ გაიმართება. ერთმანეთს მხოლოდ სხვადასხვა კონტინენტის წარმომადგენლები შეხვდებიან, გამარჯვება იმ გუნდს მიეკუთვნება, რომელიც 8 შეხვედრაში ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს. თავდაპირველად ევროპელები მიიღებენ მეტოქეებს, შემდეგ კი ამერიკელები. სსრ კავშირის ნაკრები კიევში გამართავს სამ შეხვედრას: 8 მაისს — აშშ-ს გუნდთან, 10 მაისს — არგენტინელებთან, 13 მაისს — მექსიკელებთან. პუერტო-რიოელებთან შეხვედრა 31 მაისისათვის არის დანიშნული. მატჩის ადგილი მოგვიანებით დადგინდება. ოკეანეს გაღმა საბჭოთა კალათბურთელთა მატჩების განრიგი ასეთია: 22 აგვისტო — მექსიკასთან, 25 — პუერტო-რიკოსთან, 30 — არგენტინასთან და 1 სექტემბერი — აშშ-ს ნაკრებთან.

ᲔᲠᲗᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ...

ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲔᲗᲨᲘ მიმდინარე დიდოსტატთა ტურნირის ბოლოსწინა — მეჩვიდმეტე ტურში სპასკიმ დაამარცხა ლარსენი, ტალი დაუზავდა კავალეკს, ჰორტი — პიუბნერს, ტიმანი — პორტიშს. ლუბოევიჩ-კარპოვის პარტია გადაიდო.

ბოლო ტურის წინ მოჭადრაკეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ტალი — 11,5 ქულა, კარპოვი — 10,5 (1 გადადებული), პორტიში — 9,5 (1), ლუბოევიჩი — 7 (3), ჰიუბნერი და ტიმანი — 7-7 (2-2), ჰორტი და კავალეკი — 7-7 (თითო გადადებული), სპასკი — 6 (2), ლარსენი — 5 (1).

კვირას გაიმართება ბოლო ტურის შეხვედრები, მანამდე კი გადადებული პარტიები გათამაშდება.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეცხრე ტურის მატჩები. **გამონაკლისი იყო მხოლოდ დუშანბეს „პამირისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შეხვედრა, რომელიც გადატანილია და მოგვიანებით მოეწყობა.** მეცხრე ტურის შემდეგ ტურნირს ერთპიროვნულად ლიდერობს იაროსლავლის „შინიკი“ — 15 ქულა (9 თამაშიდან). მეორე ადგილზეა სვერდლოვსკის „ურალმაში“ — 13 (9 თამაშიდან). 11-11 ქულა აქვთ ლვოვის „კარპატს“, კრასნოდარის „კუბანს“ (8-8 თამაშიდან), დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“, პავლოდარის „ტრაქტორს“ და ვოლგოგრადის „ავანგარდს“ (9-9 თამაშიდან). 10-10 ქულით მომდევნო ადგილებზე არიან კემეროვოს „აზოტი“, ხარკოვის „მეტალისტი“, ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკი“ (9-9 თამაშიდან) და ქუთაისის „ტორპედო“ (8 თამაშიდან).

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ

ᲛᲫᲚᲝᲛᲚᲝᲑᲐ. პარიზის მახლობლად პატარა ქალაქ ეპინში ფრანგმა სპორტსმენმა ჟერარ ლელეერმა ერთ შეჯიბრებაში ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: 20 კილომეტრზე სიარულში (1 საათი, 22 წუთი და 19,4 წამი) და ერთსაათიან სიარულში (14 კმ და 654 მეტრი). მან კიეველი ანატოლი სოლომინის მიღწევა 30 წამით, ხოლო მექსიკელი ოლიმპიური ჩემპიონის დანიელ ბაუტისტას რეკორდი 224 მეტრით გააუმჯობესა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. ნიუ-იორკში „კოსმოსის“ სტადიონზე გაიმართა საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. ფრანგებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 6:0.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲐᲒᲐᲜᲗᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ა. ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲓᲐᲒᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲘᲚᲘᲙᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲐᲒᲐᲜᲗᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ, 380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲤᲡᲔᲢᲣᲠᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲖᲗᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ, ᲮᲝᲨᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ, 29.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ:
380096 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ 14.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434 ● ᲔᲔ 13365

ᲔᲕᲠᲝᲞᲐ — ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲐᲠᲗᲛᲔᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

□ 7 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 16.30 — აბიბურეინგმთათვის — ბილო�ია (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — მოსწავლეთათვის — საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია, 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 18.00 — „საერთაშორისო დღიური, 18.15 — „ვეტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 18.45 — ვერნისაჟი, 19.15 — მიელინთა ტრიბუნა, 19.45 — დღ